საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/1453
17/03/2021

1453-09-2-202103171603

შპს „ფორჯი“-ს
(წყალტუბოს რაიონი, სოფელი გეგუთი)

სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში განხილული იქნა თქვენი 2021 წლის 10 მარტის განცხადება, რომელიც ეხებოდა ნაჭუჭგაცლილი მიწის თხილის (არაქისი) ბრაზილიიდან იმპორტს.

აღნიშნულის თაობაზე გაცნობებთ, რომ ბრაზილიიდან საქართველოში არაქისის იმპორტისას საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

- ✓ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის #463 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი“-ს თანახმად, ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტეტნტური ორგანოს მიერ გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი;
- ✓ ნაჭუჭგაცლილი მიწის თხილის (არაქისი), რომლის წარმოშობის ან გამომგზავნი ქვეყანა არის ბრაზილია, „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის #567 დადგენილების შესაბამისად, მიეკუთვნება აფლატოქსინით დაბინძურების (კონტამინაციის) რისკის შემცველი არაცხოველური წარმოშობის სურსათს და სასაზღვრო ინსპექციის პუნქტზე ექვემდებარება შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენას:

- ჯანმრთელობის სერტიფიკატი საქართველოში იმპორტისათვის;
- ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ლაბორატორიული კვლევის ოქმი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ჯანმრთელობის სერტიფიკატი შევსებული და დამოწმებული უნდა იყოს ტვირთის წამოშობის ან გამომგზავნი ქვეყნის კომპეტენტური უწყების მიერ, ხოლო ტვირთში შემავალ თითოეულ ტომარაზე ან სხვა სახის შეფუთვაზე დატანილი უნდა იყოს ტვირთის კოდი, რომელიც ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიეთითება ჯანმრთელობის სერტიფიკატსა და ლაბორატორიული კვლევის ოქმში.

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაგზავნილ იქნა წერილი ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობისა და სურსათის უზრუნველყოფის სამინისტროში (დანართის სახით თან ერთვის წერილს).

რაც შეეხება სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს, გაცნობებთ, რომ არაქისი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ნორმატიულ აქტებს:

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 09 ნოემბრის #567 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ (ჰარმონიზებულია „სურსათში განსაზღვრული დამაბინძურებლების ზღვრულად დასაშვები დონეების შესახებ“ ევროკომისიის 2006 წლის 19 დეკემბრის (EC) No1881/2006 რეგულაციასთან);

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #301/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი“ სანიტარიული წესებითა და ნორმებით 2.3.2.000-00.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი